საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
გაერთიანებული კომისიის სხდომის

ოქმი #11

24 მაისი 14.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, ნ.ლაცაბიძე,
მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
ფ. ინჯია, ლ.დარახველიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში - ცნობის სახით.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ (# 12-03181411-03)

მოისმინეს:

1. მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ დეპუტატებს თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ძირითადი პარამეტრები გააცნო. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ სამსახურის მიერ 3 თვის შესრულების დეტალური ანგარიში წარადგინა:

04 01 ბიზნესის სტიმულირება დაფინანსებულია 11.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია. საანგარიშო პერიოდში დაიფარა 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების ხარჯები (დარბაზის იჯარა).

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში დაფინანსებულია 26.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 27.8 ათასი ლარი 94.6%-ია. საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ საწევრო გადასახადი. გარდა ამისა, ქ.თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: ქ.ზუჰაიში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) ქალაქის სატრანსპორტო განვითარების სამუშაო შეხვედრაში; ქ.სეულში (კორეის რესპუბლიკა) ზამთრის ოლიმპიადის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრაში; ქ.კრაკოვში (პოლონეთის რესპუბლიკა) ისტორიული ქალაქების ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია “historical cities 3.0“-ში; ქ.უტრეხტში (ნიდერლანდების სამეფო) კონფერენცია “Delivering the SDGs – Cities working together with Citizens”-სა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში; ქ.ტარაგონაში (ესპანეთის სამეფო) კონფერენცია „Socio-Technical Aspects of the Cirkular and Collaborative Economy“-სა და სამუშო შეხვედრაში.

(ესპანეთის სამეფო) კონფერენცია „Socio-Technical Aspects of the Cirkular and Collaborative Economy"-სა და სამუშო შეხვედრაში.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა დაფინანსებულია 6.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია. საანგარიშო პერიოდში დასრულდა თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერა და ბაზის შექმნა.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია დაფინანსებულია 7.8 ათსი ლარით, რაც გეგმის 100%-ია. საანგარიშო პერიოდში დაიფარა 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები (დაიბეჭდა 30000 ცალი „თბილისის რუკა" და 40000 ცალი „ძველი თბილისის რუკა").

2. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ ისაუბრა.

აღინიშნა, რომ ინვესტორი, რომლის შერჩევის დროს უპირატესობა მეტი საბანკო გარანტიის მქონე კომპანიას მიენიჭება, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილებისათვის მინიმუმ 180 ადგილიან საპარკინგე ინფრასტრუქტურას მოაწყობს.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ი.ჯიშკარიანმა, ლ.დარახველიძემ, ქ.ჯოხაძემ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გახილვას მხარი დაუჭირეს.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია